

მომავალი

კვირა,
4 ოქტომბერი
1909 წ.

კვირა,
4 ოქტომბერი
1909 წ.

ყოველ დღეში საკრებულო და სალიტერატურო განკითხვა

„მომავალი“

გამომცემი უოკალ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

განცხადების ფასი: როგორც თვითონ ისე თვითონ გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 ოქტომბრიდან წლის ბოლომდე თვითონში 2 მ. 20 კ. თვითონს გარეთ 2 მან. 50 კ. თვითონათ: თვითონში 80 კ., თვითონს გარეთ 90 კაბ. ცალკე ნომერი—5 კაბ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაბ. (შეიძლება მარკეტითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაბ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს—მდე 3 მ. ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დღის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმებში დღის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოწერულ წერილებს არ ბეჭდავს. დაუმუშავებელი წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს. რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3, ხეობა სარულში.

ფულინს განმოსაზრებას 361 ადრესი:
თიფლისი, ტიპ. „შრომა“, კალისტრატუ კონსტ. ცულაძე.

წარმოდგენა № 3. წარმოდგენა № 3.

ქართული თეატრი

კვირას, 4 ოქტომბერს, ქართული დრამატული საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება ქ. ნ. კოლინდელის და ან. ჩიკვაძისმონაწილეობით პიესა ა. ოსტროვსკისა

უღანაშაულოთ დასჯილნი

4 მოქმედებით თარ. ივ. მაჭავარიანისა.

არდენენ ქ-ნნი: ნ. კოლინდელი, მ. მიღვანი, მ. ქილაჯიშვილი, ე. ჩიკვაძე, ან. ჩიკვაძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გ. გედევანიძე, ნ. გვარამია, ვ. მატარაძე, ი. თიფიძე, ი. ზარდალაშვილი.
ადგილების ფასი: ლოკები—10 მ. 50 კ. 5 მ-დე; პარტერი—2 მ. 50 კ. 60 კ-მდე; გალერია—40 კ.—20 კ-მდე; მოწვევითაღების 40 კ.
დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.
მზადდება წარმოსადგენათ: „ფარისევლი“, „დამბაზა და რეგოლევიკი“.
მორიგი რეჟისორი ქ. შათირიშვილი რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე დრამატული საზოგადოების აღმმართველია.

მ. მუხომავის სახლობი სახლი

კვირას, 4 ოქტომბერს 1909 წელს სახლობი სახლითან არსებულ ქართულ წარმოდგენების სექცი—გან წარმოდგენილი იქნება ნ. მ. გაბუნია-ცაგარის მონაწილეობით

შეამოსავლიანი აღვილი

კომპლან 5 მოქმ. ოსტროვსკისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციისთან არსებული სტენის მოყვარეთა მიხედვით დასი.
ადგილების ფასი 5 კ. 50 კაპეკამდე.
ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათ საღამოს, 15 ოქტომბერს. მზადდება წარმოსადგენათ: „დავით აღმაშენებლისა“, „სუმთაფლისა“, „ქიქოი შტაქისა“ ისტინასა და სხვა.
დაბეჭდვითი ესთხოვთ საზოგადოებას სხვის ადგილებზე დასაბეჭდვით. პატარა ბეჭდვების თეატრში შეეშება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში, იმედია, თვით საზოგადოება დაგვეხმარება.
რეჟისორი შათირიშვილი. აღმმართველი სვირიდელი.

გოგონის

კვირას, 4 ოქტომბერს წაიკითხავენ ორ ლექციას გ. ბ. გვახავა შემდეგ თემებზე:

სახალს-ი უნივერსიტეტი

ქალაქის ხანაზხო სახლი გ. ბ. გვახავა შემდეგ თემებზე:

საერთო რეფორმა კავკასიაში

1) რა არის რეფორმა? 2) რეფორმის ადგილი პოლიტიკურ წესწესებების სისტემაში; 3) ტერიტორიული დაყოფის საფუძველი; 4) საერთო ორგანოთა მოქმედების უწყების და კანტონის წესრიგის ფარგლებში; 5) ქალაქების როლი საერთო დაწესებულებათა სისტემაში; 6) საარჩევნო უფლების საფუძველი.

ს. ა. ხატისაფი იმავე თემზე.

1) საერთო რეფორმის შეწყვეტის კავკასიისთვის; 2) მოკლე ისტორია კავკასიაში რეფორმის შემოღების საკითხის შესახებ; 3) უკანასკნელ ფაზისთვის ამ საკითხის (1905—1909 წ.წ.); 4) თათბირი ერობის რეფორმებზე თვითონის გუბერნიაში და მთავარი მიმდინარეობანი, რომლებიც ამ თათბირზე გამოიკვეთა.

ლექციის დასასრული—პირველი დღის 11 საათზე, მეორე 12 საათზე საათზე. ფასები თვითონზე ლექციასზე 5 კ. 20 კ-მდე. ბილეთები იქნება თეატრის კასში დღით 12—2 საათამდე, საღამოთა 6—8 საათამდე.

კილის ექიმი

ს. ვაშაყვამაძე

აბასთუმანიდან დაბრუნდა. ავთომყოფებს ღებულს ახალ ბინაზე დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დღმართი, სახლი № 15.

კილის ექიმი

ი. ვ. ჭანტუჩია

იღებს ავთომყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთა 4—8 ს. კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. აქტალის № 71 (კირონი ქუჩის ახლოს).

ქ. ს. ვაშაყვამაძე კილის ავთომყოფე 9—01 ს.

ქ. ო. გომარაძე: ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავთომყოფე.

ქ. ა. ნ. დასაშაძე: ყოველ დღე 11 1/2—12 1/2 ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავთომყოფე.

ქ. მ. მ. მუხომავა: ყოველ დღე; 1—2 გ.; დღითა და ქირურგ. ავთომყოფე.

ქ. ბ. ა. შამაგია: ყოველ დღე გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავთომყოფე.

ქ. გ. ს. მუსხელიშვილი: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს 1/2 ს.; თვალის ავთომყოფე.

ქ. გ. გ. ფელონაძე: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგან და ბავშვებისა.

მიკროსკოპული, პაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და მიძით გასინჯვა. ფასები რეჟისორის 50 კაბ., ოპერაციები და კონსულტაცია კომარაგობით. 100—73

ნაფიცი ვეპოლი

სერგეი დ. ჯაფარიძე ქუთაისიდან გადავიდა თვითონში ბორსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11. (სასტუმრო „ლონდონის“ ახლოს)

კილის ექიმი

ს. ა. ცვიტლინი კილის და და შარის ავთომყოფადანი. ხელოვნური კბილები. ავთომყოფე და ღებულობს 9-დან საღამოს 7 საათამდე. მისეილის მრ., ნ. № 22 (სემანოვის ქ. კუთხე, № 3). შესავალი სემანოვის ქ. (10—6)

აკციზის მომატების გამო



50 პროცენტით და 50-ზე მეტით და თანაბრად გაძვირების გამო

სიმპატია იო შტ. 6 ნ. ნაროდნია იო შტ. 4 ნ.

ასეთი უმნიშვნელო ფასის მომატებით ფაბრიკის საშუალება ეძლევა გამოუშვას მუდამ მაღალ ღირსების პაპირსები და მომავალში ეცდება მათ გაუმჯობესებას, რომ ამით გააძვიროს და გააძვიროს ფირმის თავისი დამსახურებული ნდობა 50 წლის განმავლობაში ჩვენი ფაბრიკის პაპირსების მყიდველთა ოჯახში.

შენიშვნა: ამ ცნობით (და არა რეკლამით) ბოზარჯიანის ფაბრიკის სურს ვააცნოს პატივცემული საზოგადოება საქმის ახალ, ნამდვილ მდგომარეობას.

970 სტ. აქტ. უსტ. ძალით, ზემოაღნიშნულ პაპირსების მეტ ფასში გაყიდვა, რაც მათ აწერია აღკრძალულია. (10—6).

ქ. თელავში

1-ველ ოქტომბრიდან იქნება პირველად გამოშვებული ქართულ ქაზუ წიგნი

ჭრა-პერპის

თვით მასწავლებელი 128 ნახატებით ახალი მეტოლი.

ქვეს ნაწილით: ქართული, იმერული, გეოგრაფიული ტანსაცმელი და თეთრეული მწიღილი მონათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება.

შეღვენილი და გამოცემული სოფიო. ი. სიმონოვის-მიხრ. ფასი ყლით 3 მან. და გაგზავნილი 3 მ. 50 კაბ. ათი ცალის ან მეტის ერთათ წიგნის გამოშვების ფასის გაგზავნის ფული არ გადახდება.

ადრესი: გ. ტელავი, სოფ. იოსიფივიჩი სიმონოვი. Бульв. пер. 2, собств. домъ. 5—1.

15 მან.

თავში ვიყავს ნახლებიკებს განსაკუთრებით მოწვევებს, მხარსმხარედა სემანოვიკებს და სემანოვიკების მოწვევებისთვის. ადრესი: ვერა გულარსკაი პერპისი № 2 კმ. 6—7; გარდასუბის ქუჩიდან მეორე შესასვლელი მარცხნივ.

ჩ გ უ შ ი

ამ სახელს მოსწავლეებს საშუალო სსწავლებლის 1—7 კლ. მოსწავლეები მიიღებენ 5 მ. თითოეული, უკეთესი უფლებები. ჩაწერა შეიძლება დღის 10—2 სათ. ბარათისქის ქუჩა, სამურნეო საზოგადოების შენობაში, საღამომობით 5—7 საათამდე. გოგონის ქუჩა № 53. (2—5—2)

თვითონი, 4 ოქტომბერი

როგორც ადგილობრივი გაზეთები გადმოგვცემენ თვითონის ქალაქის კომუნალურმა საბჭომ 28 სექტემბრის სხდომაზე რამდენიმე საყურადღებო მოხსენება განიხილა. სხვათა შორის საბჭოს წარედგინა გამგობის წევრის თავ. ალ. მ. არღუთინსკის მოხსენება თვითონის უძრავ ქონების ხელახლად შეფასების შესახებ, რომლის პრინციპიალური მოწინააღმდეგე იმ კრებაზე თითქმის არაინ აღმოჩენილა. საბჭომ ერთხმად მიიღო თავ. არღუთინსკის მოხსენება და დაადგინა გადასდონ 35,000 მან., ამასთან დაევალოს გამგობას, რომ იგი შეუდგეს დამფასებელ კომიტეტის მოწვევას, შტატის შედგენას და 1910 წლიდან დაიწყოს უძრავ ქონების ხელახლად შეფასება. ეტყობა, ჩვენი ქალაქის კომუნალური თვითმმართველობის აღარ ყოფნია ძველი წლების შემოსავალი, მის

ნება. ჩვენ ცხოვრების რეალურ მსვლელობიდან, ცხოვრების გამოცდილებიდან უკვე ვიცით, რომ ქალაქის სოციალურ-ეკონომიურ კულტურის აყვავებას თან სდევს ქალაქის უძრავ ქონების, მაშალა აწევა. ამის მეორებით კი, ქალაქის უძრავ ქონების მესაკუთრე ვაუარჯელათ, კაპიტალის და შრომის დაუხარჯველად აღიღებენ თავიანთ შეძლებას. და თუ ახლა ქალაქის თვითმმართველობა დაუმსახურებლად გაზიდა ღირებულებათ ხელს გაიწვდის და მისაკუთრებს, მათივსებს ქალაქის მცხოვრებთა საერთო კულტურის მოთხოვნილების დატკბობას, ამის წინააღმდეგ არა გვეთქმის პირიქით, ამ ტიპის გადასახადი, ერთობ ხელ-მოსაქიდი და სამართლიანია; მას დემოკრატიული იდეოლოგები სპეციფიკურ გადასახადის ფორმით აღიარებენ. თუმცა ეს ასეა, თუმცა მას ყველა სამართლიან გადასახადთან აღიარებენ, მაგრამ იგი არ არის სწორი და სამართლიანი, იგი სასტიკი არ შეეფერება დაუმსახურებლად გაზიდა ღირებულებას. ქალაქის მამები გადასახად ჩვეულებრივ, მუდამ იმ სახით ანაწილებდენ, რომ ის მხოლოდ ერთ პაწია ქაწილის შეადგენს გაზრდილი ღირებულებისას. და ეს რომ მომავალშიაც არ განმეორდეს ქალაქის ბატონ-პატრონები უნდა შეეცადონ უძრავ ქონებაზე გადასახადებს მამულის ღირებულების ზრდა დაუღონ საფუძვლად და არა გასასყიდ ანუ საბაზრო ღირებულების გადიდება, როგორც ეს ჩვეულებრივ მიღებულია. ამასთან, ეს გადასახადი, ღირსის არ იყოს, პროგრესული უნდა იყოს ზვიდან ქვევით კი არა, არამედ ქვევიდან ზევით. მხოლოდ ასეთი გზით გადასახადის განაწილება შეეფერება ქალაქის უძრავ ქონების დაუმსახურებელ ღირებულებას, მხოლოდ ასეთ პირობებში მოსპობოდათ მესაკუთრეთ საშუალება მომატებული გადასახადი სხვის კისერზე წაქეცია. მართალია, უძრავ ქონებაზე გასასყიდ საბაზრო ღირებულების მიხედვით გადასახადის განაწილება ქალაქის თვითმმართველობისთვის შემოსავლიანი იქნება, მართალია იგი მიძიმე და აუტანელია წვირალ მესაკუთრეებისთვის და პროლეტარ დამპირავებისთვის. ცნობილია, რომ წვირილი მამულების ხელიდან ხელში გადასვლა, წვირალ საცხოვრებელ ბინების გაქირავება მეტის სიჭარბით და დიდის მასშტაბით ხდება, ვიდრე მსხვილ მამულების და დიდ ბინებისა. ეს გარემოება კი ხელიწყოთა მალა სწევს პირველსა საბაზრო ღირებულებას, მასსადამე, ამას, შედარებით მეორეებთან მეტა გადასახადი ხდება, წვირილი უძრავ ქონების პატრონებიც ადვილათ იზორებენ თავიდან ახლად გაყვირლ ზემდეტ გადასახადს: ესენი ან გაყვირლს მეორებით სხვის კისერზე აქეცენ, ან და არა ქირის სახით მოქირავნეთ ახდევინენს. ასე რომ, უძრავ ქონებაზე გასასყიდ ღირებულების მიხედვით გადასახადის დადება დააწვევა წვირალ მესაკუთრეთ, ღირს ბინის დამქირავებლებათ. ამიტომ ჩვენსაქირათ ვაღიარებთ უძრავ ქონებაზე მომავალი გადასახადი, ქონების ნამდვილ ღირებულების თანხმით განაწილდეს.

სახალსოფიო დუმის არჩევანის გამომ

მეტათ სინტერესო მოვლენას წარმოადგენდა რუსეთის დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში დამატებითი არჩევნები სახელმწიფო დუმის წევრებისა ქ. პეტროპოვში, მოსკოვში და ოცესაში

ნაცვლათ გარდაცვლილებს თუ ღმირად
გაძვირებულია. ყველაზე უფრო საყუ-
რადღებო პეტერბურგის არჩევნები, რომ-
ლის გარშემო ოპოზიციონური პარტიე-
ბის შედარებით ფართო საარჩევნო აგი-
ტაცია დატრიალდა. ბოლოს და ბოლოს
აქ ერთმანეთს უპირდაპირდებინა კონ-
სტიტუციონერ-დემოკრატის და სო-
ციალ-დემოკრატის კანდიდატები. ოქ-
ტომბრისში, როგორც პოლიტიკური მიმ-
დინარობა, სრულებით არ ჩანდა პარ-
ტია, რომელსაც სამი ივნისის აქტმა
ხელმძღვანელის როლი არგუნა ღმირად,
წინააღმდეგადაა, გაქრა ვითარება გახაზულის
თავლი, როცა საქმე მიღდა ცოტათ თუ
ბევრათ დემოკრატიულ ამომრჩევლებზე.
ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ახა, რა აქვს
საერთო „მთავრობის უკანასკნელი გან-
კარგულების პარტიას“ დემოკრატიული
ამომრჩევლების ინტერესებთან? და ისიც
განუხილდა და არ ერევა იქ, სადაც მას არ
იწვევენ და არაფერს ეკითხებიან. ბუნებ-
რივია ისიც, რომ ოქტომბრისებთან
ერთათ უკან ჩამოყენებულია დემოკრატი-
ონის „მრავალ-მომხრეობის“ შავი რაზმი
რუსის ხალხის კავშირათ წოდებული. მას
ფართო მასაზე არასოდეს არ ქონია
დიდი გავლენა და დღეს ხომ ამ მხრით
იგი სრულ არარაობას წარმოადგენს.

სამთავროთ, საარჩევნო ბრძოლის ასპა-
რზეზე გამოვიდნენ პროგრესიულ-ოპოზი-
ციონური პარტიები. საარჩევნო კრებებზე
და პრესაში ერთმანეთს ეჯახებოდნენ არა
მთავრობის მომხრეები და მისი მოწინააღ-
მდეგნი, არამედ პარტიები, რომლებიც
დღევანდელ მთავრობას და მის პოლი-
ტიკას უარყოფით ურუყებენ და მის წი-
ნაღმდეგ იბრძვიან. აქ ერთი მხრით დღე-
ნან კადეტები თავისი პოლიტიკური ავი-
ლიადებით, მეორე მხრით სოციალდე-
მოკრატია, რომელსაც მხარს უჭერენ სა-
ხალხო სოციალისტები და ტრუდოვიკე-
ბი. დღეს, სოციალდემოკრატია, რომე-
ლიც უკანასკნელი წლების რეაქციო-
ნურმა ტალღებმა თითქმის სრულიად წა-
რეცხა პოლიტიკური ცხოვრების პირიდან
ისევე არსებობს და კადეტების სერიოზულ
კონკურენტს წარმოადგენს იქ, სადაც ეს
უკანასკნელი 1, მე-2 და მე-3 დღის
პირველ არჩევნების დროს ერთადერთ
სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ და
განუხაზდურეთათ ბატონობდნენ. ამ ფაქ-
ტში ბევრი საყურადღებო მოვლენა მარ-
ხია.

თავის თავის გაუქმებას, არამედ ისინი
მხურვალე მონაწილეობას იღებენ საარ-
ჩევნო აგიტაციაში, წინ აყენებენ თავის
კანდიდატს და ასე, სიტყვიერ თუ წერიტ,
რამდენათაც ეს მითთვის მოსახერხებელია
დღევანდელ დუხშიტი პოლიტიკურ პირი-
ებში, აცნობენ ხალხის ფართო მასას
პარტიის პროგრამას და ტაქტიკას. ამით
ისინი არღვევენ უფლებას ერთათ ერთი
სერიოზული ოპოზიციონური პარტიისა
ე. ი. კადეტების, როგორც ამას წინეთ
სწერდა გავითი „რევი“. ერთი მთავარი
სახეუთაგანი, რომელსაც კადეტები აყე-
ნებენ სოც.დემოკრატის საარჩევნო
ბრძოლაში ჩარევის წინააღმდეგ, სწორეთ
ეს არის. ისინი დღეს საარჩევნო კრე-
ბებზე თუ პრესაში მუდამ გაჰკვიან სო-
ციალდემოკრატის ამ მიუტევებელ ცო-
ღვაზე. როგორ დაუშვით და ჩვენს
წინააღმდეგ გამოდით, ამით თქვენ
ხელს უწყობთ მთავრობის პოლიტიკას,
არღვევთ ერთათ ერთ სერიოზულ ოპო-
ზიციონურ პარტიას, რომელსაც ანგა-
რიშს უწყვენ ხალხის მტრები და აწაი-
რათ ხელს უწყობთ მთავრობის პროგო-
კაციას—მოსთქვამდენ ერთმანათ კადეტე-
ბის ორატორები და პუბლიცისტები.
სოციალდემოკრატის საარჩევნო ბრძო-
ლაში ჩარევის წინააღმდეგ ამ სახეუთს
დღეს აყენებენ ის კადეტები, რომლებიც
გაცხარებით იბრძოდნენ ესდევნებში ერთ
დროს გაბატონებულ ბოკოკრატული
მინარეთლების წინააღმდეგ და თავისუფ-
ლების სახელით და მისი ინტერესებისა-
თვის მოუწოდებენ მათ მხურვალე მონა-
წილეობა მიეღოთ ღმირს არჩევნებში და
მათთან ერთად ესარგებლოთ წარმომად-
გენლობითი დაწესებულებით ძველი რე-
ჟიმის წინააღმდეგ. მაშინ ჩვენი გულ-
უბრყვილო ზოგი ახანაგებისათვის ერთ-
ით საბუთიც ეს იყო იმისა, რომ
არჩევნებში მონაწილეობის მიღება არ
შეესაბამებოდა პროლეტარულ ტაქტი-
კას, მარა დრო გავიდა და მე—კების
იმავე ტაქტიკას დღეს წყვეა-კრულიათ
იხსენებენ კადეტები და სოციალდემოკ-
რატისათვის სახელით ნათლავენ
იმისათვის, რომ მან გაბედა და საყუა-
რი კანდიდატით და პოლიტიკური პლა-
ტფორმით გამოვიდა საარჩევნო ბრძო-
ლის ასპარეზზე. რა კარგი იქნებოდა ახ-
ლა კადეტებისათვის „ოტოვისტების“
ტაქტიკას რომ გაემარჯვა რუსეთის შე-
გნებულ მუშებში? ალბათ ისინი დიდ
ქება-დიდებას შეახამდენ მუშების „წი-
ნაღმდეგ“ პოლიტიკოსებს!

მარა ამ მოვლენას კიდევ მეორე სა-
ყურადღებო მხარე აქვს. სოციალ-დემოკ-
რატის გვერდში ამოუდგენ სახალხო სო-
ციალისტები და ტრუდოვიკები, რომლე-
ბიც ღმირში ხშირათ თავის გამოსვლებს
უთანხმებდენ კადეტების სურვლს. მკაზ-
ველი ნუ იფიქრებს, ვითომ სოციალდე-
მოკრატებს ამ მხარის დაქვრისათვის
რამე ვალდებულათა ეღოთ თავზე მო-
კავშირების წინაშე. პირიქით, როცა
კითხვა დაისვა მემარცხენეთა ბლოკის
შედგენაზე, სოციალდემოკრატამ ის ერთ-

ბაშით უარყო. მიუხედავათ ამისა, ისინი
მხნეთ უჭერენ მხარს ს. დემოკრატების
კანდიდატს სოკოლოვს და გაცხარებით
ებრძვიან კადეტებს. ამასთან, როგორც
გამორკვა, ნიკრები, რომლებიც პირ-
ველ არჩევნების დროს კადეტების კან-
დიდატს მხარს უჭერდნენ, ესლა სოც.-დე-
მოკრატის კანდიდატს ამოუდგენ გვერდ-
ში და მათი წარმომადგენლები საარჩევნო
კრებებზე კრიტიკის ქარცეცხლში ატა-
რებენ კადეტების საკანონდებლო მუ-
შაობას მე 3 დღეში. ცხადია, ამომრ-
ჩევნეთა კარგა დიდი ნაწილის ფსიხო-
ლოგიაში მომხდარა ცვლილება კადეტე-
ბის სახარალოთ და ქემპარტი დემოკ-
რატის სასარგებლოთ და თუ მინც ამ
ბრძოლიდან კადეტები გამოვიდენ გა-
მარჯვებულნი—ეს უნდა დაუზადლონ
მათ 3 ივნისის საარჩევნო კანონს, რო-
მელმაც ს. დემოკრატის ამომრჩევნეთა
მთავარი კონტინგენტი—მუშები სრუ-
ლიად გამოირცხა ქალაქის არჩევნებდან
და ჩამწყვდილა მუშათა სპეციალურ სა-
არჩევნო კურიაში და არა თვინათ დე-
მოკრატულ ღირსებას, მემარცხენე ელე-
მენტების მწყობრი და ერთსულოვანი
გლაშქრება კადეტების წინააღმდეგ ცხა-
დათ მოწმობს მათი პრეტენსი დაცემას
ნამდვილ დემოკრატის თვლით.

და აი ჩვენ ვხედავთ, რომ მემარცხე-
ნე ელემენტები, დემოკრატიული ამომ-
რჩევლები თავს იყრიან სოც.-დემოკრა-
ტის კანდიდატს გარშემო. პროლეტა-
რიატი და მისი პარტია ყოველთვის საი-
მედო დამცველი იყო დემოკრატის ინ-
ტერესებისა და მოთხოვნილებათა. კა-
დეტები კი მუდამ თავისი ღირსი პო-
ლიტიკით წინ ელოზებოდნენ ქემპარტი
დემოკრატის წარმომადგენლებს. დღეს
ისინი იმეიან იმას, რაც დათესეს. დემო-
კრატული ამომრჩევლების სიმპატია გა-
დადის სოციალდემოკრატისაკენ და თუ,
როგორც ზემოთ ვთქვით, ესლანდელ
ბრძოლიდან კადეტები გამარჯვებული გა-
მოვიდენ ეს უნდა მიეგრროს უმარგესათ
3 ივნისის კანონს, რომ ელმაც ფართო
მასას წარაბეთა საარჩევნო უფლებები.
ამ მასის სიმპატია სასებით სოციალდე-
მოკრატის მხარეზე. ეს ამჟამათ დამტ-
კიცა მიმდინარე საარჩევნო კომპანიაში.
ჩვენ ამ ბრძოლაში უპირველესათ ყოვე-
ლისა გვინტერესებს არა მისი პირდაპირი
პრაქტიკული შედეგები იმდენათ,
რამდენათაც სხვა და სხვა საზოგადოებ-
რივი ჯგუფების სულიერი განწყობილე-
ბა და პოლიტიკური სიმპატები. მიმი-
ნარე საარჩევნო კომპანია გვიმტკიცებს,
რომ საზოგადოება ისევე იღვიფებს და
ცდილობს თავი დააღწიოს რეაქციის
კლანქებს. დემოკრატისათა და პოლი-
ტიკური გულგრილობა, რომელიც გა-
მეფა საზოგადოების ყველა პროგრესიულ
კლასში რეაქციის გამარჯვებაში, ნელ-
ნელათ კრება და ეს უმთავრესათ ჩვენთვის
დღეს. რეაქცია ზვიდან უძლეოთა თუ
მას არ ახლავს რეაქცია ქვევიდან—რეაქ-
ცია მასის გულში და გონებაში. რუყ-
თის ცხოვრების უკანასკნელი ფაქტები

ამჟამათ მოწმობენ საზოგადოებრივი
რეაქციის შესუსტებას და წარსული და-
მატებით არჩევნები ერთი ზედმეტი და
ყველაზე უფრო დიდი საბუთია ამისა.

ნ. ს.

ლ. ა. ა. ა. ა.
(პეტერბურგის დეპუტათა სააგენტოსაკენ)
3 ოქტ-მეორე.

**დემონსტრაციები ფერერის დახვრეტის
გამო.**

რომი. ყველა მალაზიები დახურულია.
ნაშუადღევს მანიფესტანტები ქუჩებში
გამართენ. პოლიციამ რამდენჯერმე გა-
ფანტა. დაიქირეს რამდენიმე კაცი, მაგ-
რამ ინიციდენტი არავითარი არ მომხდა-
რა. მილანიდან და ფლორენციიდან სტე-
ფანი დეპეშით იტყობინება, რომ გაფიცვა
თანდათან ძლიერება. სპეციში მოხდა დი-
დი მითინგი ფერერის დახვრეტის გამო
პრეტესტის გამოსაცხადებლათ. გამო-
ცხადდა საყოველთაო გაფიცვა.

ტრიესტი. ფერერის დახვრეტის გამო
საპროტესტო დემონსტრაცია მთელი
დღე გაგრძელდა. მალაზიები, თეატრები
და სხვა გასართობი სახლები მთელი
დღე დაკეტილი იყო. შუადღეზე დი-
წყო საყოველთაო გაფიცვა, აქა იქ მოხ-
და პატრულიათ შეტევა, საღამოზე დე-
მონსტრაციამ უფრო მწყვეტ ხასიათი მი-
იღო. მანიფესტანტებს უნდოდათ ესპა-
ნიის საელჩოსკენ წასვლა, მაგრამ პატ-
რული გადაეღობა და მანიფესტანტებმა
რევოლვერები ესროლეს და ქვები დაუ-
შინეს. პატრულიდან დაიჭრა სამი. დაი-
ქირეს 54 კაცი.

ლიონი. ესპანიის საელჩოს წინ დიდი
დემონსტრაცია მოხდა. მანიფესტანტებმა
იეროში მიიტანეს ყვანახანსა და პოლი-
ციის პოსტზე. პოლიციელებმა ხმლები
იშიშლეს და გვარდიელების დახმარე-
ბით უკან დაახევინეს. მანიფესტანტებმა
რევოლვერები ესროლეს. დაიჭრა რამ-
დენიმე კაცი.

ბუდაპეშტი. კლერიკალურ გაზეთ
„ალოკანდის“ რედაქციის წინ, რომელ-
მაც მოიწონა ფერერის დახვა, ს. დე-
მოკრატებმა მანიფესტაცია გამართეს.
დაიქირეს ოთხი. ესპანიის საელჩოს პო-
ლიციელთა რაზმი იცავს.

საარსებითი.

თეირანი. კავკასიის ფიდაებს წინადა-
დება მისცეს დარჩენ ქალაქში და აირ-
ჩიონ დეპუტატი მანიტრათა თათბირზე
დასასწრებლათ.

საზღვარ-გარეთ

ბარცელონა. ყუმბარის აფეთქების
დროს არავინ დაშავებულა. აფეთქება
მოხდა პოლიციიდან ნაპოვნ ყუმბარის
წაღების დროს.

მასლიუისი. ვატერვეის და შევენინ-
გენის შუა ზღვაში გემის ნამტვრევების
დაქვრის დროს ნაღმოსან გემის ერთ
ბარკსიდან აფეთქდა ასაფეთქებელი ნივ-
თიერება. ბარკსი დაიშხვრა. მოკვდა
ექვსი კაცი, მათ შორის ერთი აფიციერი.
ლონდონი. ლორდთა პალატამ მიიღო

მისი მელორაციის კანონ პროექტი.
თუმცა ოპოზიციამც ხმა მისცა, მაგრამ
განხრახნა აქვს შესწორებები შეიტანოს.
ათინი. დეპუტატთა პალატაში მთავ-
რობის მიერ შესრულ ქაინანსა ქრო-
ექტში ჩამოთვლილია ყველაფერი რე-
ფორმები და პროექტები, კერძოთ პო-
ექტი მოწვეულ იქნას საზღვარ-გარეთი-
დან სადამოყნო საქმის მკოდნე პირნი,
წინადადებას იძლევა გადიდებულ იქნას
ზოგიერთი გადასახადები საზოგადოათ და
ზოგიერთი შემცირებულ, რომლებიც
ღარიბ კლასს აწვეს კისერზე. აღნიშნუ-
ლია თუ რამდენათ შესაძლებელია სა-
მინისტროების ხარჯების შემცირება და
სხვა.

მიუნხენი. დეპუტატთა პალატაში ერთ-
მა დეპუტატმა-ლიბერალმა ინტერპელი-
აცია შეიტანა, თანახმა თუ არა მთავ-
რობა 1885 წლის რუსეთთან ხელშეკ-
რულობაზე პოლიტიკური დამანაშვების
გაცემის შესახებ. მინისტრ-პრეზიდენტმა
პოლტელსმა განაცხადა, რომ უსაბუთოთ
ხელშეკრულობაზე უარის თქმას უდი-
დი პოლიტიკური და ეკონომიური შედეგე-
ბი მოყვება, შემდეგ ს. დემოკრატებმა
შეიტანეს ფორმალური წინადადება ხელ-
შეკრულობაზე უარის თქმის შესახებ.
მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ
უარის თქმა არა მეგობრული აქტი იქ-
ნებოდა რუსეთის მიმართ. მთავრობა
ამას ვერ დათანხმდება. მას შემდეგ, რაც
ყველა დეპუტატებმა ხელშეკრულობის
წინააღმდეგ ილაპარაკეს, მისი გაუქმების
შესახებ წინადადება ერთმანათ მიიღეს.

ნიუ-იორკი. კუკის გზის მარეგულაცი-
ბარილობა, რომელიც 1906 წელს ალია-
სკაში მათა მაკინლეიზე ასვლის დროს
თან ახლდა კუკს, ფიცს ქვეშ აჩვენა,
რომ კუკი მაშინ ავიდა მხოლოდ 10,000
ფუტზე და მას გადააწერია მისი დღიუ-
რის ნაწილი. კუკის ფორტგრაფმა ფიცს
ქვეშ დაამტკიცა ბარილობის ჩვენება.

ნიუ-იორკი. კუკს ძლიერ გაუკვირდა
ბარილობის ჩვენება და განაცხადა, რომ
მხოლოდ მაშინ გამოსტყვას თავს აზრს
ამის შესახებ, როცა გაიგებს რა პირო-
ბებში ჩამოართვის ჩვენება, გაგზავნეთ
ექსპედიცია მათა მაკინლეიზე და იქ
იპოვნეთ ჩემ მიერ დატყვევულ ნიშ-
ნებსო.

ბარცელონა. ხელ-ახლო აფეთქდა ორი
ყუმბარა. დაიჭრა სამი.

ვაშინგტონი. აქ მოსულ ცნობებით
ინგლის-ამერიკელ კაპიტალისტთა ჯგუ-
ფი შეუთანხმდა ჩინეთის მთავრობას გაი-
ყვანოს რკინის გზა ჩინოუფიდან ტსი-
ტსინხანდელ.

რუსეთში

მაკარიევი. გახსნეს რეალური სასწავ-
ლებელი.

პეტერბურგი. საღამოზე პეტერბურგში
მოვა შვედელი 24 გვარდიის არტილე-
რიის და ქვეითა ჯარის აფიციერი, რომ-
ლებიც აჩვენებენ შვედურ ვარჯიშობას
რუსეთ-შვეციის საზღვრის გამოყვანაზე,
მათ მეთაურობენ კაპიტანი ვალდერიუ-
სი და პოლკოვნიკი ბალაიკი.

„წითელი კვირა“ გერმანიაში.
ლიეპციგის პარტიკულის უკანასკნელი
სხდომა. შაბათი, 18 სექტემბერი.
(საკუთარი კორესპონდენტისაკენ)
გაგრძელება. *)
სხდომა გაიხსნა 9 საათზე. თავმჯდომე-
რობს ზინგერი.
სასაჩივრო კომისიის წარმომადგენელი
რუდოლფი—ფრანკფურტადან. პარტიე-
ტაგს სხვა და სხვა საჩივრის შინაარსსა
და კომისიის დადგენილებას აცნობს. სა-
ჩივარი ძალიან ბევრია, ემეტებომა პარ-
ტიიდან გამორიცხვას უნდა, სასაჩივრო
კომისიის ყველა წინადადება მიიღეს,
გარდა ერთისა, რომელიც საკანტროლო
კომისიის დადგენილებას ერთი წევრის
პარტიიდან გამორიცხვის შესახებ აუქმებ-
და: საკანტროლო კომისიის დადგენილება
დაამტკიცეს.
სხვა და სხვა წინადადებებს არჩვენ.
კაცენშტეინი, „ფორფერტს“-ის ერთი რე-
დაქტორი იცავს თავის რეზოლიუციას,
მუშები ბურჟუაზიულ სიფხიზლის საზო-
გადოებათ უნდა ჩამოშორდენ და მუშა-
თა სიფხიზლის საზოგადოებას მიეკედ-
ლონო.

თავმჯდომარე ლიბინსკი რეზოლიუ-
ციის პირველ ნაწილს უერთდება, მარა

მეორე შეცდომათ მიანია—პარტიეტაგს
უფლება არ აქვს მუშათა სიფხიზლის სა-
ზოგადოება ოფიციალურ პარტიულ ორ-
განიზაციათ იცნოს—მთელი ჩვენი ყუ-
რადღება პარტიულ და პროფესიონალურ
ბრძოლას უნდა მივაპყროთ!

ამასვე იმეორებს „ნოიე ცაიტ“-ის მე-
ორე რედაქტორი ფუხში. ვურმის წინა-
დადების თანახმათ რეზოლიუციის პირვე-
ლი ნაწილი მიიღეს, მეორე უარყვეს.

კაცენშტეინი ასაბუთებს რეზოლიუ-
ციას ისპანიის ხუცუთათ მთავრობის
სისხლის პოლიტიკის წინააღმდეგ მიმარ-
თულს. პარტიეტაგმა, აცხადებს ის, ახა-
რი დროის ინვიზიცია უნდა დაგმოსო.
ტაშის ცემით რეზოლიუცია ერთმანათ
მიიღეს.

დიტმანს რეზოლიუციას მიადგენ. არა-
ჩვეულებრივი მყუდროება გამოედა.
რა მოხდა? ვინ არის დიტმანი, რომ
მის რეზოლიუციას ასეთი ყურადღებით
ეკიდებინა?

ის ჯერ სულ ახალგაზდა, 33—35
წლისა იქნება, პარტიეტაგზე ასეთები კი
ძალიან იშვიათია. გერმანიის პარტია
ახალგაზდებს არ წყალობს—ჯერ კუა
ისწავლონო. პარტიეტაგს აინტერესებს
არა მისი პიროვნება, არამედ ის ფრად
საყურადღებო რეზოლიუცია, რომელიც
მან და 20 დელეგატმა შემოიტანა.

ხუთშაბათის კრებაზე წინა დამით მი-
ღებული ბერლინის I ოლქის რეზოლიუ-

ცია ხელმეორეთ გადასინჯეს და თუცა
მცირე უმეტესობით, უარყვეს. ბურჟუა-
ზიულმა პრესამ განგაზი ასტება, რევი-
ზიონისტებმა გაიმარჯვესო. აქამდის ბურ-
ჟუაზიის ვეტილები პარტიის რასკოლსა
და ასე მის დაუძლეურებას ელოდენ, ახ-
ლა კი რევიზიონისტების „გამარჯვებას“
უკრავენ ტაშს, ეგები ასე მინც სოცია-
ლური რევოლიუციის უტოპები დი-
მაროსო. ბურჟუაზიული პრესის სინა-
ურულს ზოგი რევიზიონისტიც მუყუროდა,
გავიმარჯვეთო. ასე თუ ისე ანტილიბე-
რალური რეზოლიუციის უარყოფა პარ-
ტიაში უთუთოთ არეგ-დარევის გამოიწვე-
და, დრეხდების რადიკალური ტაქტიკა
მუშხინველათ დაიბარხაო. ასეთ არე-
დარევას ეომება დიტმანი და ამხანაგები.

დიტმანი საფისტეხიდან: ბერლინის
პირველი ოლქის რეზოლიუციის თა-
ვისებურმა ბედმა ჩვენი რეზოლიუ-
ცია წარმოიშვა. ბერლინელთა რეზოლიუ-
ცია ორ აზრს ემსახურებოდა: ჯერ იქ
ჩამოთვლილი იყო ლიბერალთა ღალატი
და ამიტომ მათთან რამე კავშირის და-
ქვრას შეუძლებლათ აღიარება. ამას
მეორე აზრიც თან მისდევდა: ჩვენ პარ-
ტიის ბურჟუაზიულ პარტიათა ჯოგში
გათქვამას არას შემთხვევაში ნიადაგი არა
აქვს. ოთხშაბათის რეზოლიუცია მივი-
დეთ, ხუთშაბათის ის უარყოფით. რეზო-
ლიუციის ასეთი ბედი ბურჟუაზიულმა
პრესამ დიდი სინარულით ილდესასწუ-

ლა, რევიზიონიზმმა რადიკალიზმს სძლია
მუშათა პარტიაშიო. მე დარწმუნებული
ვარ, პარტიეტაგი დამეთანხმება, რომ
ბურჟუაზიული პრესის ასეთი აზრი სრუ-
ლი სიყალბეა (სავსებით პართალია). ამ-
ხანაგებმა, რომელთაც რეზოლიუციის
ხელმეორე გარჩევა მოითხოვეს, განაც-
ხადეს ჩვენ აზრშიაც არ მოგვდის ბურ-
ჟუაზიულ პარტიებთან დამოკიდებულმა
რითიმე შეეცვალოთო (გაცხარებული
ტაშე).

რეზოლიუციის წინააღმდეგ ბევრმა ე-
წ. რადიკალმაც მისცა ხმა. ამას ამტკი-
ცებს ფრ. მერინგის წერილი „ნოიე
ცაიტ“-ში ამიტომაც ბერლინელთა რე-
ზოლიუციის უარყოფა სრულიადკ არ
ნიშნავს ლიბერალებთან დამოკიდებულე-
ბის ოდნავაც კი შეცვლას.

ამიტომ ვთხოვ პარტიეტაგს ჩემი რე-
ზოლიუციის მიღებით განაცხადოს, რომ
ბერლინელთა წინადადების უარყოფა
დრეხდენის რეზოლიუციის სრულიადკ
არ ასუსტებს და ის სავსებით ძალაში
რჩება.

დრეხდენის პარტიეტაგის რეზოლიუ-
ციის მნიშვნელოვანი ნაწალი ასეთია:
„პარტიეტაგი გადაჭრით კიხავს რე-
ვიზიონისტულ მისწრაფებათ ჩვენი ცხოვ-
რებათ დამტკიცებულა და კლასთ ბრძო-
ლაზე აშენებული ტაქტიკა იმ სახით
შესცვალოს, რომ ჩვენ მტერთა დამორ-
ჩილებით და პოლიტიკური ძილა-უფლე-

ბის ხელში ჩაგდების მაგიერ არსებულ
წეს-წყობილებას ხელი გავუწოლოთ.
ასეთი რევიზიონისტული ტაქტიკის შე-
დეგი იქნებოდა ის, რომ იმ პარტიას მა-
გიერ, რომელიც ბურჟუაზიული წყობი-
ლების რაც შეიძლება ადრე სოციალის-
ტურ საზოგადოებათ გარდაქმნას ელტვის,
რომელიც აწაიართ ოფელოლიკონურ-
რია ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელო-
ბით, ადგლოს დაიქვრდა პარტია, რომე-
ლიც ბურჟუაზიული წყობილების რე-
ფორმით დაამყაფილებდა.“

ქვევით.
„პარტიეტაგი შემდეგ კიხავს ყოვე-
ლივე ლტოლვილებას აწ არსებული და
დღითი-ღმე ზრდაში მყოფი კლასიური
წინააღმდეგობანი ჩაქვროს, რომ ამით
ბურჟუაზიულ პარტიებზე დაყრდნობა
გაიადგოსო.“

ეს დღესავით ნათელია და აქ არავი-
თარ ორჯოგობას ადგილი არ აქვს. ჩე-
მი წინადადების მიღებით ერთხელ კიდევ
ხაზს გავუსვამთ, რომ პარტიის პოლი-
ტიკის რყევაზე ღაპარაკი შეუქლებელი
საქმეა. ამბობენ, ჩემი წინადადება თავის
თავათ ცხელია და მისი გარჩევით ტყუი-
ლი უბრალოთ დროს ვკარგავთო. პირ-
იქით, ამ წინადადების მიღებით ბევრ
დროს მოვიგებთ, რომელიც პრესაში
მთელი წლის კამათში დაგვებარჯება
(ხანგრძლივი და გაცხარებული ტაშე).
ბაუერი მიუხეხინდა: პარტიეტაგი

დაიწყება 11 ს., მეორე—12 ნაქვერ ს. ფასი 5—20 კაბ.

სტაინდები. საშუალო სასწავლებელში მოსწავლეთათვის განათვის...

ქართული თეატრი. დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება...

სახალხო თეატრი. დღეს, საღამოს რვა საათზე, ქართული სახალხო...

სახალხო ვადადება. ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელიც ხვალ უნდა მომხდარიყო...

სხვადასხვა ამბები. 1 ოქტომბერს გოლოვინის ბრძან. ვიდავას ტრავის ღაინ...

შეცდომის გასწორება. გუმბაქელ ფელეტონში მე 5 სვეტში დაბეჭდილია...

კუთხისი. მეურნეთა სიუზი. ქუთაისის გუბერნიის მეურნეთა სიუზი...

კარბოს სიუზის მიერ მინდობილი კითხვები და შემდეგ სავითო კრებაზე თავიანთი მოხსენებები წარმოადგინეს.

ამავე დღეს, გამთენიის ეზოში ქაღალდის მიერ წავითხულ იქნა ლექცია მეურნეობაზე...

ამავე დღესვე, საღამოს ქაღალდის თვითმართველობის შენახვაში მონაწილეობის...

სიუზის შემდეგი კრება გვირავს, 4 ოქტომბერს მოხდება.

სოფ. რუსის (ქართლი). აქ რამდენიმე სანა არსებობს წიგნი-საგა-სამკითხველო...

სამკითხველო უწყვეტად მდგომარეობაშია. საჭიროა დახმარება და იმედა თავიანთ...

ს. ბანძა (სამეგრელო). წყევანდელმა მონაწილმა სსრკ-ს წევრთაგანში ჩაგდო აქაური...

ქუროლო-მანტაისკობა თანდათან წინ მიდის. ისე დღე არ გაივლის, რომ ვინმეს...

„ჩუქვილის“ რედაქციამ მიიღო ჭათკის კომიტეტის წევრის ბ. სურგულაძის მიერ...

2) „ჩუქვილის“ რედაქციამ მიიღო „მომავლის“ რედაქციიდან 12 მ. 57 კ. შემოწმ...

3) რედაქციამ ეძღვნა მიიღო ვლასი ბობოსაძის...

რედაქტორ-გამომცემელი ნ. მუქაძე-მანსარანცი

მოწავა, გ. ს. ლავაძე, ნ. სარსინიძე, ს. სინარულიძე...

წერილები რედაქციის მიმართ ბ. რ. თქვენს პატრიოტულ გაცხადებში...

რედაქტორ-გამომცემელი ნ. მუქაძე-მანსარანცი

რედაქტორ-გამომცემელი ნ. მუქაძე-მანსარანცი

განცხადება „ბორჯომი“ თეფისი, ვაგზის ქ. № 17.

ამხალდებენ ქაღალდით, ყველა დაბად და საშუალო სასწავლებლებსათვის...

ამხალდებენ ქაღალდით, ყველა დაბად და საშუალო სასწავლებლებსათვის...

კ. არაზიანაი განაცხად ავთომეფების მიღება.

კროკოდონის ამხანაგობა რიგაში. საფარავო საწვობის განყოფილება ამიერ-კავკასიისათვის. იყიდება ნარდა და ცალოზით.

